# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
# ხელშეკრულება №

ბოლნისი

„ 28 “ „დეკემბერი“ 2016 წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ერთის მხრივ შპს „ბოლნისის მუნიციპალური ტრანსპორტის სამსახური“ (მის: ქალაქი ბოლნისი სულხან-საბას 106 ) წარმოდგენილი დირექტორის თეიმურაზ გაბიძაშვილის სახით (აქ და შემდგომში “შემსყიდველი”) და მეორეს მხრივ შპს D&G GROUP (დ და ს ჯგუფი) დირექტორის ზურაბ ლაზარეშვილის (მის: ქ. ბოლნისი დ. აღმაშნებლის 1ა) სახით (შემდგომში „შემსრულებელი“) საქართველოს მთავრობის 2011წლის 21 იანვრის №26 დადგენილების საფუძველზე მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

## 1 . ხელშეკრულების საგანი

1.1 შემსყიდველი ” უკვეთავს, ხოლო “მიმწოდებელი” იღებს ვალდებულებას მიაწოდოს ჰაიგერის ტიპის ავტობუსის საბურავები 6 ცალი

## 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 4200 (ოთხი ათას ორასი) ლარს
2.2 ერთი ცალი საბურავის ღირებულება შეადგენს 700 ლარს

## 3. მიწოდების ვადა

4.1 „მიმწოდებელი” საქონლის მიწოდებას დაიწყებს ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და დაასრულებს 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

## 4. მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 მიწოდებული საქონელი ჩაითვლება სრულად მიღებულად, მიმიწოდებლის მხრიდან ანგარიშფაქტურის გამოწერისა და მიღება ჩაბარების აქტისა გაფორმების შემდეგშემდეგ.

## 5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორება იწარმოებს უნაღდო ანგარიშწორებით. შესაბამისი მიღება- ჩაბარების აქტისა და ანგარიშ - ფაქტურის წარმოდგენის, შემდეგ ანგარიშსწორების ანგარიშზე .
5.2 ანგარიშწორება მოხდება ეროვნულ ვალუტაში (ლარებში).

## 6. მხარეთა ვალდებულებები

6.1 „შემსყიდველი” ვალდებულია:

ა) ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული მომსახურებისათვის გადაუხადოს „შემსრულებელს” გაწეული მომსახურების ღირებულება.

ბ) კონტროლი გაუწიოს ხელშეკრულების საგნის შესრულებას.

6.2„მიმწოდებელი” ვალდებულია:

ა) დროულად შეასრულოს ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული [illegible]

ბ) თავისდროულად და წერილობით აცნობოს "შემსყიდველს" საქონლის მიწოდების წარმოქმნილი მოსალოდნელი შეფერხებების შესახებ.

## 7. ფორს-მაჟორი

7.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

7.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

7.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 8.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულება მოქმედებაში შედის ორივე მხარის ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

## 9. დავების გადაწყვეტა

9.1 მხარეებმა უნდა გააკეთონ ყველაფერი იმისათვის, რომ გადაწყვიტონ წარმოშობილი საკამათო საკითხები და გაუგებრობა ერთმანეთისადმი კეთილგანწყობის ფარგლებში, მოლაპარაკებათა საშუალებით.

9.2 თუ მხარეები ვერ გადაწყვეტენ წარმოშობილ საკამათო საკითხებს, მაშინ საკითხი გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობით.

## 10 ინსპექტირების პირობები

10.1 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შპს ბოლნისის მუნიციპალური ტრანსპორტის სამსახურის დირექტორი თერიმურაზ გაბიძაშვილი

## 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, შეცვლა, შეწყვეტა.

11.1 „შემსყიდველს" შეუძლია შეუწყვიტოს ხელშეკრულება ნებისმიერ დროს თუ დაფიქსირდება „მიმწოდებლის" მხრიდან ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, და გადაახდევინოს „მიმწოდებელს" პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

11.2„შემსყიდველი" უფლებამოსილია „მიმწოდებელს" დააკისროს პირგასამტეხლო საქონლის დაგვიანებით მიწოდებისათვის ვადის გადაცილებისას ყოველი დღისათვის ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ან/და შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.3 ხელშეკრულების შეწყვეტა „მიმწოდებელს" არ ანთავისუფლებს 12.1 და 12.2 პუნქტებში დაფიქსირებული პირგასამტეხლოებისაგან.

11.4. „შემსყიდველს" შეუძლია ცვლილება შეიტანოს ხელშეკრულებაში ნებისმიერ დროს ორივე მხარის შეთანხმების შემთხვევაში თუ აღნიშნული არ ცვლის ხელშეკრულების ძირითად აზრს

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს ორ იდენტურ ეგზემპლარს, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

**რეკვიზიტები:**

„შემსყიდველი"

შპს„ბოლნიის მუნიციპალური ტრანსპორტის სამსახური"

ს\კ 425358409 ა\ა GE78 LB0113134814550000

ს.ს. „ლიბერთი ბანკი"

ბანკის კოდი LBRTGE22

ხელის მოწერა და ბეჭედი ---------------------------------------------------

\ თ.გაბიძაშვილი \

„შემსრულებელი "

შპს „D&G GROUP (დ და ს ჯგუფი )"

ს.კ 425358828

ს.ს. „ვითიბი ბანკი„

ა\ა GE67TB7962036050100001

ბანკის კოდი TBCBGE22

ხელის მოწერა და ბეჭედი ---------------------------------------------------

ზ. ლაზარეშვილი

შპს „D&G GROUP (დ და ს ჯგუფი )"

ს.კ 425358828

# ფასების ცხრილი

28.12.2016 წ

| კოდი | საქონლის დასახელება | რაოდენობა | ერთული ფასი | სულ თანხა | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|
| 34300000 ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის | საბურავები | 6 | 700.00 | 4200.00 | ქ. ბოლნისი |

„შემსყიდველი"

შპს „ბოლნიის მუნიციპალური ტრანსპორტის სამსახური"ს

დირექტორი გ. გაბიძაშვილი

„შემსრულებელი "

შპს „D&G GROUP (დ და ს ჯგუფი )"

დირექტორი ზ. ლაზარეშვილი